ახალი ხარაგაული

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გაზეთი • 276 (3) 16 თებერვალი, 2015 წ

სიახლეები საგანმანათლებლო სისტემაში

11 თებერვალს დაბა ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში მუნიციპლიტეტის საჯარო სკოლების დირექტორებთან შეხვედრა გაიმართა. ცენტრის დირექტორმა, ბატონმა დავით კიკნაძემ, მათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში არსებული სიახლეები გააცნო.

2015 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტების რეგისტრაცია დაიწყო

„2015 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტების რეგისტრაციის პროცესი 10 თებერვალს დაიწყო და 17 მარტს დასრულდება. წელს კონკურსში 64 უმაღლესი აკრედიტებული სასწავლებელი მონაწილეობს. ადგილების რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე წინა წელს და ის 46 ათასს აღემატება.

რეგისტრაციის პირველ ეტაპზე აბიტურიენტმა აუცილებლად უნდა აირჩიოს ჩასაბარებელი გამოცდების ჩამონათვალი, მიუთითოს ქალაქი და ენა, რომელზეც სურს გამოცდის ჩაბარება – ეს ინფორმაცია ვადის ამოწურვის შემდეგ აღარ შეიცვლება!

როგორც გასულ, ასევე მიმდინარე წელს, აბიტურიენტებს საშუალება ექნებათ, რამდენიმე თვის განმავლობაში ცვალონ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამები (ფაკულტეტები), მათი რაოდენობა და თანმიმდევრობა. პროცესი სააპელაციო განაცხადების მიღების დასრულებასთან ერთად შეწყდება.

სახელმწიფო წელსაც დააფინანსებს ბაკალავრიატის გარკვეულ მიმართულებებს (შესაბამის პროგრამებზე ჩარიცხულები ისწავლიან უფასოდ).

ერთიანი ეროვნული გამოცდები, სავარაუდოდ, ივნისის ბოლო კვირაში დაიწყება.

წლევანდელი მთავარი საგამოცდო სიახლე არჩევით საგნად სამოქალაქო განათლების დამატებაა. ეს საგანი 1227 საკონკურსო ადილზე გამოცხადდა“.

„მშობელთა ჩართულობა სასკოლო პროცესში“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროექტის, „მშობელთა ჩართულობა სასკოლო პროცესში“ განხორციელებას იწყებს. უკვე მომზადდა და მალე საჯარო სკოლებს გადაცემათ მშობლებისთვის განკუთვნილი აქტივობების და სავარჯიშოების კრებული, რომელიც დაეხმარება მშობელს უფრო დაახლოვდეს ბავშვთან და ხელი შეუწყოს ბავშვის უნარების განვითარებას.

„მშობელთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს“ - გვეუბნება ბატონი დავითი და აქვე დასძენს; „ჩემი აზრით, რაც მეტადაა მშობელი ჩართული შვილის სწავლების და განათლების მიღების პროცესში, მით უფრო მაღალია მოსწავლის მიღწევის დონე. იზრდება სწავლის ხარისხი, ბავშვი უფრო მოტივირებულია და სკოლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება უყალიბდება.“

ბატონმა დავითმა პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის, მეტი აქტიურობისკენ მოუწოდა საჯარო სკოლების დირექტორებს და დაამატა, რომ ამით უფრო გაიზრდება სკოლის და მასწავლებლის ავტორიტეტი, ხოლო მშობელსა და სკოლას შორის, მნიშვნელოვანი კომპონენტი - კეთილგანწყობა დამყარდება.

საქართველოს მასშტაბით ექსტერნატის ფორმით გამოცდების ჩაბარების მსურველთა რესგიტრაცია დაიწყო

ექსტერნატის ფორმით გამოცდების ჩაბარების მსურველთა რეგისტრაცია 10 თებერვლიდან დაიწყო და 17 თებერვლის ჩათვლით გაგრძელდება. გამოცდები კი 5 მარტიდან 20 მარტამდე ჩატარდება.

დაინტერესებული პირი უფლებამოსილია ექსტერნად რეგისტრაციის თაობაზე, განცხადება და შესაბამისი დოკუმენტაცია წარადგინოს საგანმანათლებლო რესურსცენტრში.

პირი, რომელიც ექსტერნატის ფორმით წარმატებით დაძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მიღწევის დონეს, სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მისაღებად, ვალდებულია წარმატებით ჩააბაროს გამოსაშვები გამოცდები.

პროგრამა პროფესიული განათლების მიღების მსურველებისთვის ისევ ძალაშია

მიმდინარე წლის 10 თებერვლიდან დაიწყო და 5 მარტამდე გაგრძელდება პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაცია. ყველა დაინტერესებულ პირს, ვისაც აქვს 9 კლასის დამადასტურებელი მოწმობა და სრული განათლების ატესტატი შეუძლიათ გაიარონ რეგისტრაცია და სახელმწიფოს დაფინანსებით დაეუფლონ მათთვის სასურველ პროფესიას. რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია სამინისტროს საგანმანათლებლო რესურსცენტრებსა და პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში.

რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, დარეგისტრირებულმა აპლიკანტმა საწყის საფეხურზე სწავლის დასაწყებად უნდა გაიაროს სამინისტროს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირება. ტესტირების მიზანია დადგინდეს სწავლის მსურველთა პროფესიული უნარების შესაბამისობა მათ მიერ შერჩეულ პროფესიასთან.

„ის, რომ სახელმწიფო და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, უკვე ორი წელია აღნიშნული პროექტით ათასობით პირს განათლებისა და სწავლის დონის ამაღლების საშუალებას აძლევს, ფრიად სასიხარულო და მისასალმებელია - აღნიშნავს ბატონი დავითი. თუ ადამიანი გარკვეულ პროფესიას ფლობს და თავისი საქმის უბადლო მცოდნე და პროფესიონალია, მას აუცილებლად ექნება სამსახური“.

ვეთანხმები ბატონი დავითის სიტყვებს და ჩვენს ქვეყანას, მომავალში, აღნიშნული პროექტის ფარგლებში, დასაქმებულთა რიცხვის გაათმაგებას ვუსურვებ.

თეა ბერიძე

ბიუროს სხდომაზე საბიუჯეტო ცვლილებები განიხილეს

11 თებერვალს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატებმა საბიუჯეტო ცვლილება განიხილეს. მოხსენებითი ბარათის თანახმად, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 თებერვლის N 121 განკარგულების საფუძველზე ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 20 იანვრის N 39 განკარგულებაში და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს დამატებით 19,5 ათასი ლარი გამოეყო. აქედან 13,5 ათასი ლარი მიიმართება დაბა ხარაგაულში არსებული ღია ესტრადის და ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურების შესასყიდად და 6,0 ათასი ლარი ბორითი-მარიამწყარო-ღორეშის გზის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესასყიდად. გარდა ამისა, გასული 2014 წლის პროექტების დასასრულებლად საჭიროა 34,5 ათასი ლარი. მათ შორის მაქათუბნის ხიდისთვის 8,1 ათასი ლარი, ზედუბნის წისქვილის დასრულება 9,6 ათასი

ლარი, ლეღვნის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია 9,0 ათასი ლარი და კიცხის კლუბის რეაბილიტაცია 7,8 ათასი ლარი.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის, ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცით, მუნიციპალიტეტში არსებული საბიუჯეტო დაწესებულებებისა და სხვადასხვა ა(ა)იპ-ების მომართვების თანახმად საჭიროა დამატებით 322,0 ათასი ლარის სუბსიდიის გამოყოფა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დაფინასება გაეზარდოთ:

ა(ა)იპ ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას - 114,0 ათასი ლარით;

ა(ა)იპ ცენტრალურ ბიბლიოთეკას - 23,0 ათასი ლარით;

ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ჩხერიმელა 2009"-ს – 50,0 ათასი ლარით;

ა(ა)იპ ისტორიულ მუზეუმს - 6,0 ათასი ლარით;

ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრს - 10,0 ათასი ლარით;

ა(ა)იპ კეთილმოწყობას- 26,0 ათასი ლარით;

ა(ა)იპ კულტურის ცენტრს - 22,0 ათასი ლარით;

ა(ა)იპ ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის ცენტრს - 12,0 ათასი ლარით;

ა(ა)იპ ხარაგაულდასუფთავებას- 37,0 ათასი ლარით;

ა(ა)იპ „სათნოების სახლს" – 6,0 ათასი ლარით;

ა(ა)იპ ხალხური შემოქმედების სახლს - 10,0 ათასი ლარით;

ა(ა)იპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრს - 3,0 ათასი ლარით;

ა(ა)იპ რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურულ თეატრს - 3,0 ათასი ლარით;

შპს „ხარაგაული 2011"-ს - 6,5 ათასი ლარით.

საბიუჯეტო ცვლილება განხორციელდება რელიგიისა და ტელერადიომაუწყებლობის დაფინანსების კუთხითაც. კერძოდ, 30,0 ათასი ლარი მიიმართება დაბის საკათედრო ტაძრის მშენებლობისათვის; 5,0 ათასი ლარი დაბაში არსებული სამლოცველოს დასახმარებლად; სხვადასხვა საინფორმაციო მომსახურების შესასყიდად კი 20,0 ათასი ლარია გათვალისწინებული. დამატებით ხარჯებს საჭიროებს ასევე მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა. 11,0 ათასი ლარი ავტომობილების რემონტისათვისაა საჭირო, 1,5 ათასი ლარი ელექტროენერგიის მიწოდების მოსაწესრიგებლად, ხოლო 11,0 ათასი ლარი ინტერნეტის პაკეტის გაუმჯობესებისთვის.

მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და განვითარებისათვის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მიერ მიერ წარდგენილი პროექტების ფარგლებში მუნიციპალიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოს 5,1 ათასი ლარი, მათ შორის 3,0 ათასი ლარი თხილისა და კაკლის სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობისათვის და 2,1 ათასი ლარი მემცენარეობის მიმართულებით ნიადაგის ანალიზის ჩატარების დაფინანსებისათვის.

საბიუჯეტო ცვლილებების თემასთან დაკავშირებით გარკვეული შენიშვნები წარმოადგინა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ვარლამ ჭიპაშვილმა. მისი თქმით, საბიუჯეტო ცვლილებები მისაღებია, თუმცა უმჯობესია ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება მისი პრიორიტეტულობის მიხედვით მოხდეს.

„წყალაფორეთისა და ზვარის

გაგრძელება ▶ 2 გვ.

ბიუროს სხდომაზე საბიუჯეტო ცვლილებები განიხილეს

◄ 1 გვ.

ტერიტორიულ ერთეულებში საბავშო ბაღებია გასახსნელი, ჩემი აზრით, უმჯობესი იყო ჯერ ამ საკითხის მოგვარებაზე გვეზრუნა და შემდეგ - მუზეუმის ან კლუბების გარემონტებაზე. როდესაც სოფელში პრიორიტეტად მივიჩნევთ წისქვილის რეაბილიტაციას და ამ დროს, სოფელს წყალი არ მიეწოდება, ვფიქრობ, ეს მართებული არაა.“

ვლადიმერ გელაშვილის განმარტებით, „ამ ეტაპზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში რისი შესაძლებლობებიც იყო ისე გადანაწილდა თანხები. ტერიტორიულ ერთეულებში საბავშო ბაღების გახსნასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ არსებობს, არის დარჩენილი ტექნიკური სამუშაოები (ეზოს მოწყობა და ა.შ), რომელთა დასრულების შემდეგ ბაღები აუცილებლად გაიხსნება. რაც შეეხება, სოფლებში - წისქვილისა და კლუბების მოწყობისათვის გამოყოფილ დაფინანსებას, მოგეხსენებათ, რომ მათი მშენებლობა მიმდინარე წელს არ დაგვიწყია და აღნიშნული თანხა ადგილობრივი ბიუჯეტიდან მხოლოდ პროექტების დასრულებისათვის გამოიყო“.

ბიუროს სხდომაზე წარდგენილი საბიუჯეტო ცვლილების შესახებ დეპუტატები საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე უახლოეს დღეებში იმსჯელებენ.

ეკა შავიძე

ია ვეფხვაძე საპატიო სიგელით „სახალხო სიყვარული საუკეთესო საუკეთესოთა შორის" დაჯილდოვდა

11 თებერვალს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სააქტო დარბაზში რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის სპექტაკლის „მთების ძახილის“ პრემიერა გაიმართა. ღონისძიება



ალექსანდრა ჯაფარიძის დაბადების 120 წლისთავს მიეძღვნა. საიუბილეო საღამო მეცნიერებათა აკადემიის, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების, რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის, მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის და ალექსანდრა ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის ორგანიზებით და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა.

საღამოზე თეატრის ხელმძღვანელი იზა ვეფხვაძე საერთაშორისო ორგანიზაცია სახალხო დიპლომატიის მიერ ქვეყნის წინაშე განეული განსაკუთრებული ღვაწლისთვის დაჯილდოვდა საპატიო სიგელით „სახალხო სიყვარული საუკეთესო საუკეთესოთა შორის“.

საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ მარინა ვეფხვაძემ, მუნიციპალიტეტის სოფლებში საბავშვო ბაღები და ბიბლიოთეკები მოინახულა

12 თებერვალს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ მარინა ვეფხვაძემ, მუნიციპალიტეტის სოფლებში საბავშვო ბაღები და ბიბლიოთეკები მოინახულა და იქ არსებულ მდგომარეობას გაეცნო. ბაღებში არსებული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა, არის ცხელი წყალი, სათანადო კვება და ყველა ძირითადი პირობა ბავშვებისათვის. დეპუტატი სკოლამდელი გაერთიანების დირექტორთან, ირმა სებისკვერაძესთან ერთად, გაესაუბრა ბაღის თანამშრომლებსა და ბავშვების მშობლებს.

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება 2014 წლის დასაწყისისათვის მუნიციპალიტეტში 9 საბავშვო ბაღს მოიცავდა, წლის ბოლოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მონდომებითა და ხელშეწყობით მათ რიცხვს სამი ახალი საბავშვო ბაღი შეემატა ლეღვანში, ვარძიასა და ვახანში.

საბავშვო ბაღები მალევე გაიხსნება ბორითსა და წყალაფორეთში. ხოლო ეზოს კეთილმოწყობის შემდეგ ხიდარსა და ზვარეში.

შედარებით განსხვავებული მდგომარეობაა ბიბლიოთეკებში. საბიბლიოთეკო გაერთიანებაში ამჟამად ირიცხება ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკა, დაბის საბავშვო განყოფილება, პატარა ხარაგაულისა და 22 სასოფლო განყოფილება (ორი მათგანი მარელისსა და საბეში წლის დასაწყისისათვის შეუერთდა საბიბლიოთეკო გაერთიანებას). საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი ნიკოლოზ მაჭავარიანი უნიკალური წიგნადი ფონდის შესანარჩუნებლად სოკოვანი დაავადებით დაზიანებული წიგნების განცალკევებას ითხოვს. ეს საკითხი საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომაზე ჯერ კიდევ გასულ წელს განიხილეს და დადებითად გადაწყდა.

აღსანიშნავია, რომ 2015 წელს, სოფლის ბიბლიოთეკების ვაუჩერიზაციის პროექტის ფარგლებში – „წიგნი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“ – ხარაგაულის სოფლების ბიბლიოთეკებმა ათი ათასი ლარის წიგნები მიიღეს. პროექტი საქართველოს პრეზიდენტის ფონდის დაფინანსებითა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ორგანიზებით ხორციელდება. პროექტის ფარგლებში თითოეულმა ბიბლიოთეკამ 500 ლარიანი ვაუჩერი მიიღო. აღნიშნული ვაუჩერით შეძენილ იქნა 2020 ცალი წიგნი, რომელიც თითოეულ ბიბლიოთეკაში თანაბრად გადანაწილდა. პროექტში აქტიურად იყვნენ ჩართულნი სოფლის ბიბლიოთეკარები და, მათი სურვილისამებრ, წიგნადი ფონდი, ძირითადად, საბავშვო და მხატვრული ლიტერატურით შეივსო.

ეკა შავიძე

სასოფლო-სამეურნეო ბარათების გაცემა დაიწყო

სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ხარაგაულის საკონსულტაციო სამსახურში, სასოფლო-სამეურნეო ბარათების გაცემა დაიწყო. ხარაგაულის 20 ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელს, ბარათები, ბარათებისთვის განკუთვნილი ბეჭდები და საინფორმაციო ფლაერები გადაეცათ. როგორც ცნობილია, ფერმერებს აღნიშნული ვაუჩერებით შეეძლებათ მიწის ნაკვეთების დახვნა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მასშტაბით სულ 8092 ბარათი დარიგდა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს დარგობრივი განვითარების ფონდის მთავარი სპეციალისტის ლორენცო ლემონჯავას თქმით, „სასოფლო-სამეურნეო ბარათები, გულისხმობს ფერმერთა დახმარებას 2015 წლის საგაზაფხულო სამუშაოებისთვის. ბარათების დარიგება პარალელურად მიმდინარეობს იმერეთის ყველა რეგიონში. ხარაგაულში რვა ათასზე მეტი ვაუჩერი ჩამოვიტანეთ. ამ ვაუჩერებით მოხდება ნიადაგის ხვნა. მაღე ჩამოვიტანთ აგრობარათებს, რომლებზეც დაირიცხება ქულები, რის შემდეგაც ბენეფიციარებს საშუალება ექნებათ შეიძინონ სასოფლო სამეურნეო მასალები. გავეცით ბეჭდები, რის მეშვეობითაც წარმომადგენლებს საშუალება ექნებათ ბენეფიციარებს დაუმოწმონ მათ საკუთრებაში არსებული ბარათები. თუ რომელიმე ბენეფიციარი გამორჩენილია აღნიშნულ პროგრამაში, სოფლის მეურნეობის სამინისტრო უახლოეს ხანებში აღადგენს მათ სიებში და ისინიც ჩვეულებრივ მიიღებენ სასოფლო -სამეურნეო ბარათებს.“

მცირემიწიან ფერმერთა კატეგორია, წინა წლის მსგავსად, წელსაც ორ ნაწილად იყოფა: ფერმერებს, რომელთა სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნიათ 0,25 ჰა-მდე ჯამური ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, აგრო ბარათზე დაერიცხებათ ნაკვეთის შესაბამისი - 50 ქულა. ხოლო იმ ფერმერებს, რომელთა ფაქტობრივ საკუთრებაში ან სარგებლობაში გააჩნიათ 0,25ჰა-დან 1,25 ჰა-ს ჩათვლით ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომელსაც იყენებენ ერთწლიანი კულტურების მოსაყვანად - გადაეცემათ ნაკვეთების ფართობის პროპორციული ღირებულების სასოფლო-სამეურნეო(ხვნის)ბარათი, 1ჰა-ზე 140 ლარის გადაანგარიშებით.

მოსარგებლეებს, რომელთაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნიათ 0,25-ჰა დან 1,25 ჰა-ს ჩათვლით ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, და მასზე გაშენებული აქვთ მრავალწლიანი კულტურების ნარგავები, ასევე არ გააჩნიათ ერთწლიანი კულტურების წარმოებისთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთები, აგრო ბარათზე დაერიცხებათ ნაკვეთების ფართობის პროპორციული ქულების რაოდენობა 1 ჰა-ზე 140 ლარის გადაანგარიშებით.

თუ კი ვერ ხერხდება ბარათის გამოყენება სხვადასხვა მიზეზის გამო, ბენეფიციარს უფლება აქვს ბარათი დააბრუნოს. დაბრუნების ბოლო ვადა 2015 წლის 15 ნოემბერია.

ეკა შავიძე

რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებით ხარაგაულში მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდება

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, მიმდინარე წელს, მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას იწყებს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის, მალხაზ ფხალაძის ინფორმაციით, რეგიონალური განვითრების სამინისტროს დაფინანსებით, ხარაგაულში მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდება, რისთვისაც 2 700 000 ლარი დაიხარჯება.

მათ შორის: კიცხი-ხიდარის გზის რეაბილიტაცია - 800 000 ლარი;

ხარაგაული-ბაზალეთის გზის რეაბილიტაცია - 600 000 ლარი;

ზვარის ახალგაზრდული ბანაკის მოწყობა - 300 000 ლარი;

დაბა ხარაგაულში არსებული ღია ესტრადისა და ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია - 450 000 ლარი;

დაბა ხარაგაულში მშენებარე საავადმყოფოს და მისი მიმდებარე ქუჩების: დევდარიანის, გურამიშვილის და ჭიპაშვილის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია - 200 000 ლარი;

დაბა ხარაგაულში მშენებარე საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება - 50 000 ლარი;

ამაშუკეთი-მარიამწყარო-ღორეშის გზის რეაბილიტაცია - 200 000 ლარი;

დაბა ხარაგაულში ცენტრალური ბიბლიოთეკისთვის არსებული შენობის რეაბილიტაცია - 100 000 ლარი;

პროექტის ფარგლებში არსებული სამუშაოები უახლოეს მომავალში დაიწყება.

თეა ბერიძე

ზვარის ახალგაზრდული ბანაკის მოწყობისთვის 300 ათასი ლარი დაიხარჯება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში წარდგენილ 2015 წლის პრიორიტეტულ პროექტთა ნუსხაში ერთ-ერთი მთავარი და ძირითადი პროექტი - ზვარის ახალგაზრდული ბანაკის მოწყობაა. პროექტი 300 000 ლარის ღირებულებისაა და რეგიონალური განვითარების ფონდიდან ფინანსდება. ამჟამად მიმდინარეობს ზვარის ბანაკის ტერიტორიის, მუნიციპალიტეტის კუთვნილებაში დარეგისტრირების, სამართლებრივი მხარის მოწესრიგება. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა და ა(ა)იპ „ხარაგაულის მუნიციპალური განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის“ დირექტორმა მამუკა ჭიპაშვილმა ზვარის ბანაკის ტერიტორია და ბანაკის დღემდე შემორჩენილი ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს.

ზვარე - წლების წინ ბანაკებს შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული იყო, არაჩვეულებრივი დასასვენებელი ადგილი, ზღვის დონიდან 700 მეტრ სიმაღლეზე, საქართველოს და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან ყოველწლიურად უამრავ ბავშვს ღებულობდა. „ოცნება“ ასე ერქვა ზვარის ბანაკს. მას ძველი დროიდან დღეს მხოლოდ სახელი შემორჩა.

2000 წლიდან მოყოლებული ზვარის ბანაკს ახალგაზრდული ჯგუფი კარვებით ყოველ ზაფხულს სტუმრობს.

მართალია, ეს ვიზიტი ხანმოკლეა და სულ რამდენიმე დღე გრძელდება, მაგრამ ბანაკს ესეც აცოცხლებს...

ვიმედოვნებთ ბანაკის მუნიციპალიტეტის კუთვნილებაში დარეგისტრირების სამართლებრივი მხარე დროულად დასრულდება და დღეს უკვე კარვების ბანაკად ქცეული ბანაკი „ზვარე“ სიცოცხლეს სრულიად ახალი და საინტერესო ეტაპიდან გააგრძელებს.

აქ ყველაფერი სიყვარულით კეთდება...

როცა აღნიშნული სტატიის მომზადებას შევუდექი, ერთი ჩემი ახლობელი გამახსენდა, რომელიც წლების მანძილზე ელოდა დედობას. როცა მკურნალობის თვალსაზრისით ყველა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა ამ ბედნიერების მოსაპოვებლად, გადაწყვიტა, ისეთი ეშვილებინა, რომელიც განსაკუთრებულ მზრუნველობას საჭიროებდა. დიდი სიყვარულის, დიდი ძალისხმევის ფასად მან, უბრალოდ, კი არ გაზარდა, არამედ აღზარდა კეთილშობილ, საზოგადოებაში აქტიურად ჩართულ ერთ-ერთ განათლებულ ქალად. ასეთი რამ, ბუნებრივია, გვიკვირს, გვიკვირს იმიტომ, რომ სითბო-სიყვარულის ბალანსი კარგა ხანია, დარღვეულია საზოგადოებაში. არადა რა ამაყად და თავმომწონედ ვიმეორებთ ცნობილ სიტყვებს ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონიდან“: „სანამ ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ...“

ამ მზიანი სიტყვების ძალამ სიკეთის ქმედებით გამოწვეული ბედნიერების ძალამ, დამატყვევა და მართლაც „გამოუცნობ ცეცხლის ალში გამხვია“, როცა რუსთავი-2-ის ეთერში რამდენიმე დღის წინ გადაცემა „დილა მშვიდობისა, საქართველოს“ ვუყურე. ეკრანიდან მადლიერების უკიდეგანო გრძნობით სულანთებულები გვესაუბრებოდნენ: ნატო კალატოზიშვილი, თამარ ბუხრაშვილი, დათო კვირკველიძე, კობა კუნჭური...

***

ამ ახალგაზრდების - ჭეშმარიტი ღვთის შვილების - იმდღევანდელი სიხარული უკავშირდება ტურისტულ კომპანია „პოზიტივ თრეველს„, რომლის დამფუძნებელიც გახლავთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის ტურიზმის სპეციალობის სტუდენტი, ხარაგაულელ ახალგაზრდათა საძმოს, ერთ-ერთი „კაი ყმა“ 20 წლის გოგა შავიძე.

გოგას ნაამბობიდან: კომპანიის შექმნის იდეა უნივერსიტეტში სწავლის დაწყებისთანავე გამიჩნდა. თეორიული ცოდნის მიღებასთან ერთად ჩემთვის უმნიშვნელოვანესია ჩემს სპეციალობაში პრაქტიკული გამოცდილების დაგროვება. ჯერჯერობით ჩემი სამუშაო გუნდი ხუთწევრიანია. პირველ ეტაპზე მხოლოდ შიდა ტურებით ვიფარგლებით. ტურიზმის სექტორში მსგავსი კომპანია ბევრია და, შესაბამისად, კონკურენციაც მაღალია. ამიტომ ბაზარზე შესაღწევად კომპანია „პოზიტივ თრეველი“ მომხმარებელს შედარებით დაბალ ფასებსა და მაღალ ხარისხს სთავაზობს. ვგეგმავთ ელიტტურებს, რაც მოიაზრებს ტურებს ცნობად სახეებთან ერთად. ასევე ვთავაზობთ, როგორც ინდივიდუალურ, ისე ინკლუზივ ტურისტ-პაკეტების ფართო არჩევანს.

გოგა შავიძე სიყვარულითა და პატივისცემით საუბრობს თავის უსაყვარლეს ლექტორზე, ქალბატონ ქეთევან მაყაშვლზე. მე კი ამ გვარის ხსენებამ იმ წუთებში კიდევ ერთხელ აღმიძრა პატივისცემის გრძნობა აღნიშნული გვარის მიმართ.

ამ გვართან დაკავშირებით ყველა ჩვენგანს ახსენდება 1921 წლის 25 თებერვალი, ახსენდება თბილისი, კოჯორი და ტაბახმელა, ქართველი იუნკრები, ახსენდება მარიამ (მარო) მაყაშვილი, რომელმაც საკუთარი მკერდი შეაგება რუსეთის მეთერთმეტე არმიის ხიშტებს, ახსენდება ცნობილი პოეტის კოლაუ ნადირაძის სევდიანი სტრიქონები:

„თოვდა და თბილისს
ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა
ხალხი...
წითელი დროშით,
მოღერილ ყელით,
თეთრ ცხენზე მჯდომი,
ნაბიჯით ნელით,
შემოდიოდა სიკვდილი
ცელით“.


გოგა შავიძე

დიახ, დღეს ამ სახელოვანი გვარის უამრავ ღირსეულ მამულიშვილთა შორის ტრადიციას ჰუმანური და პატრიოტული სულისკვეთებით, რუდუნებით აგრძელებს ილიას უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ფსიქოლოგი, ქალბატონი ქეთევან მაყაშვილი, რომელიც ხელმძღვანელობს განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა განათლების, კონსულტირებისა და რეაბილიტაციის ცენტრს.

ჩვენ დავუკავშირდით ქალბატონ ქეთევანს და ვთხოვეთ, გაეცნო აღნიშნული ცენტრის საქმიანობა, სამომავლო გზა და ორიოდე სიტყვით დაეხასიათებინა თავისი სტუდენტი გოგა შავიძე.

(აქვე მინდა ვაცნობო მკითხველს და პატიება ვთხოვო ქალბატონ ქეთევანს, რომ საგაზეთო მასალით ამჯერად ვერ შევძლებ აღნიშნული ცენტრის ამოცანებისა და სამომავლო პერიპეტიების სრულყოფილად წარმოჩენას. მაგრამ გარკვეულ წარმოდგენას შეგიქმნით, თუ რა არის ადამიანთა უსაზღვრო სიყვარულით მოსილი ცენტრისა და მისი ხელმძღვანელის უმთავრესი ორიენტირი.

როგორც ქალბატონმა ქეთევანმა აღნიშნა, ცენტრი 2001 წელს გაიხსნა სულხან-საბას უნივერსიტეტში ამერიკის მთავრობის ხელშეწყობით და მიზნად ისახავს განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა საზოგადოებაში ჩართვას, მათ წახალისებას. 2005-2006 წლებში, როცა ყოფილი სულხან-საბას უნივერსიტეტი ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტს შეუერთდა, ამუშავდა მეორე პროექტი „ტემპუსის“ ფარგლებში. ძირითად ამოცანად დაისახა ასეთ პირთა არა მარტო სწავლება, არამედ ზრუნვა პროფესიული პროგრამით მათ რეალურ დასქმებაზე. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა საუნივერსიტეტო ბაზაზე ინკლუზიური და განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის დაცული დასაქმების ადგილი. შეიქმნა მეტად საინტერესო პროგრამა, რომელიც მიზანმიმართულად ახორციელებს უმთავრეს მისიას - გაულამაზდეთ ცხოვრება მათ, რომლებიც განსაკუთრებულ მზრუნველობასა და დახმარებას საჭიროებენ თავიანთ უნარ-შესაძლებლობათა გამოსავლენად. განა რა უნდა იყოს იმაზე დიდი ბედნიერება, რომ აჩუქო ასეთ ადამიანს სიხარული, განაწყო იმედიანი რწმენით, რომ შესაფერი აქტიური ყოფით განვლოს ღვთისგან ბოძებული სიცოცხლე, დაარწმუნო, რომ მასშიც არის ისეთი ძალა, რომლითაც თვითონაც შეუძლია სხვისი დახმარება...

სამომავლოდ, აუტიზმის მქონე ბავშვებიც გვინდა ჩავრთოთ დასქმების პროგრამაში, მაგრამ რადგან ესენი განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებენ და ხალხმრავალ ადგილებში ვერ იმუშავებენ, ამიტომ ჩვენ გამოვყავით დარგი - მებაღეობა, სადაც უფრო წყნარი სამუშაოა და ურთიერთობისთვის უფრო ხელსაყრელი პირობები.

***

ნატო კალატოზიშვილი, თამარ ბუხრაშვილი, დათო კვირკველიძე, კობა კუნჭური ინკლუზიური განათლების პროფესიული კლუბის წევრები არიან. თამარი და დათო სტუდენტებს საჭირო დოკუმენტების მომზადებაში ეხმარებიან. თამარი კომპიუტერულ პროგრამებს დაეუფლა და პრინტერთან მუშაობასაც მარტივად ახერხებს, დათომ კი ქსეროქსის საქმე შეითავსა.

პროფესორი
ქეთევან მაყაშვილი

ნატო კალატოზიშვილი: ვაკეთებ ქსეროქსს, მერე - ლამინირებას, ბოლოს-აკინძვას. აკინძვაში ძალიან მეხმარება თამუნა...

თამარ ბუხრაშვილი: ძალიან მიხარია, რომ ვმუშაობ. ზოგჯერ სევდიანად ვფიქრობ - წინ წავალ თუ არა, მაგრამ სევდას აქარწყლებს იმედი, რომ აუცილებლად წავალთ წინ...

კლუბის ბენეფიციარები საკუთარ ძალებს არ იშურებენ, იმედით შეჰყურებენ მომავალს და სწამთ, რომ მალე დამოუკიდებლადაც შეძლებენ მუშაობას.

***

რაც შეეხება გოგას - აღნიშნავს ქალბატონი ქეთევანი, - გოგას სახით მე მყავს ძალიან მობილიზებული და უნარიანი, არჩეულ პროფესიაზე უსაზღვროდ შეყვარებული სტუდენტი.

ცნობილია, ხეჭეჭურის ჯიშის ნერგს რომ დარგავ, 15 წელი მაინც უნდა ელოდო მის ნაყოფს, მაგრამ იცი, რომ ნაყოფი საუკეთესო იქნება. გოგას შემთხვევაში ვიტყვი, რომ იგი თავისი ოჯახის, თავისი მშობლების უმშვენიერესი ნაყოფია; მისი მიზანსწრაფვა ბევრ სიკეთეს გვპირდება. ის ტურიზმის პარალელურად ფსიქოლოგის პროფესიასაც ითვისებს. გაოცებული ვარ, როგორ კარგად შეუთავსა მან თავისი საქმე გსმ ადამიანების სოციალურ ჩართულობაზე ზრუნვას. მან ძირითადი პროფესია და ცოდნა, რომელიც არჩევითი საგნების ფარგლებში მიიღო, შესანიშნავად განახორციელა რეალურ ცხოვრებაში. ერთი მხირვ, პოპულარიზაცია გაუწია კომპანიის საქმიანობას და, მეორე მხრივ, ორგანიზებული გართობა-დასვენებაც შესთავაზა ამ ახალგაზრდებს აღნიშნული ექსკურსიით. ტელეგადაცემაში ნახეთ ალბათ, როგორ გამოხატავდნენ ისინი თავიანთ სიხარულს, როცა კომპანია „პოზიტივ თრეველის“ დამფუძნებლის, გოგა შავიძის, გულისხმიერებითა და ზრუნვით ანანურისა და გუდაურის მშვენიერებას ეზიარნენ...

***

ძვირფასო მკითხველო! ძნელია აღვწერო ის განცდა, რომელიც იმ წუთებში მეუფლებოდა, როცა ეს სწავლული ქალბატონი გოგას ახასიათებდა. წამიერად დავშორდი რეალობას და წლების მიღმა გადავინაცვლე... ცოდნის წყურვილით გულანთებული ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლის ის გოგო-ბიჭები წარმოვიდგინე, რომელთა დამრიგებელიც საკმაოდ გრძელ გზაზე, V დან - XII კლასის გასრულებამდე ვიყავი და რომელთა ცხოვრებითაც ვცხოვრობ დღესაც... მახარებს ყოველი მათგანის წინსვლა-წარმატება.

სულაც არ მიკვირს, რომ გოგა ასე დახასიათდა. ის ხომ ტრადიციული ქართული ოჯახის შვილია. აწ განსვენებულ გოგი შავიძისა და ქალბატონ ლამარა შარიქაძის ტკბილ კერაზე მუდამ შრომისმოყვარეობა და სინდის-პატიოსნება იყო ადამიანებთან ურთიერთობის საზომი. ამ გზას სახელოვნად აგრძელებენ ოჯახის მესაჭეები: მეღვინე-ტექნოლოგი გელა შავიძე და მისი მეუღლე, ფიზიკის პედაგოგი, მზია კვინიკაძე. ხარაგაულში ყველა სიამოვნებით მიგითითებთ ამ ოჯახისკენ, სადაც სამი საუკეთესო ახალგაზრდა: ლანა, ანა და გოგა შავიძეები - იწრთობიან და ფრთიანდებიან...

გოგა შავიძე: - მუდამ ვსაზრდოობ ილიასეული სიბრძნით „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის... ქვეყნის ღონისა სიცოცხლის მიმცემი“. ქვეყანას რომ ვარგოთ, მარტო ვერას გავხდებით. უფროსთა რჩევა და მეგობართა თანადგომა გვჭირდება. ბედნიერი ვარ, რომ, როგორც სტუდენტს, გზას მინათებენ უჩვეულო სითბო-სიყვარულის გრძნობის მატარებელი ლექტორ-მასწავლებლები. ვთვლი, რომ ჩემი ყოველი წარმატება მათ უკავშირდება. ასევე დიდი ძალაა ჩემი სამეგობრო. რომ არა შოთიკო ლომიძე, გიორგი მაქაძე, გიორგი ოქრომჭედლიძე, გიორგი ლაცაბიძე, წარმატებისაკენ მიმავალ გზაზე მინიმალურ ზღვარსაც ვერ გადავლახავდი. ჩემი მომავალი წარმატებების გარანტიც კვლავ ეს ადამაინები იქნებიან...

გასაკვირსა და გასაოცარს ვერაფერს დაგპირდებით, მაგრამ იმაზე კი მუდამ ვიზრუნებ, რომ მეტი სიხარული გავცე. განსაკუთრებული არც იმ დღეს არაფერი ყოფილა, როცა ჩემს მეგობრებთან ერთად გადავწყვიტე, ერთი ლამაზი დღე გვეჩუქებინა მათთვის, რომლებიც ჩვენგან დიდ სითბოსა და ზრუნვას მოელიან. არასდროს დამავიწყდება ინკლუზიური განათლების პროფესიული კლუბის წევრის, დათო კვირკველიძის მიერ ექსკურსიის დროს გუდაურში წარმოთქმული სიტყვები:

- „ბედნიერი ვარ, რომ ამ ოჯახის წევრი ვარ, ყველა ერთმანეთზე ვზრუნავთ და აქ ყველაფერი სიყვარულით კეთდება...“

ჩვენო გოგა! რადგან სიყვარულია ყოველი კეთილი საქმის საძირკველი, გვწამს, შენთვის ღვთისგან მომადლებული ამ ნიჭის წყალობით უშურველად მიანიჭებ სითბოს ადამიანებს და გაალამაზებ მათ სულიერ სამყაროს!

მერი გიორგიძე

„წარსულის ქრონიკები“

6 თებერვალს ხარაგაულის საბავშვო ბიბლიოთეკაში პროექტ „წარსულის ქრონიკების“ ფარგლებში, დავით IV აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება მოეწყო. ღონისძიებაში, დაბის მოსწავლეებთან და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებულ ბავშვთა მგალობელ გუნდ „ნუნისთან“ ერთად, მარელისის საჯარო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

დავით აღმაშენებელი ბაგრატოვანთა დინასტიის ერთ- ერთი ყველაზე წარმატებული ქართველი მონარქი იყო. იგი 1089 – 1125 წლებში მეფობდა. დავით მეფემ, 1121 წელს, დიდგორის ბრძოლაში მნიშვნელოვანი გამარჯვებით მოახერხა თურქ-სელჩუკთა ქვეყნიდან განდევნა. არმიაში და მმართველობის სისტემაში გატარებულმა რეფორმებმა შესაძლებლობა მისცა ქვეყანა გაეერთიანებინა და მთელი კავკასიის მიწები საქართველოს დაქვემდებარებაში მოექცია. მეფე თავდადებული ქრისტიანი იყო, რის გამოც საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა.

ბავშვებმა დიდი სიყვარულითა და მოწიწებით მიმოიხილეს დავით IV მეფის ცხოვრება და მოღვაწეობა. მსმენელს კიდევ ერთხელ შეახსენეს მის მიერ სამშობლოსთვის გაწეული დიდი ღვაწლი. ღონისძიების დასასრულს ნაჩვენები იქნა, დოკუმენტური ფილმი „დავით აღმაშენებელი“.

ამ უმშვენიერეს წუთებში ცხადად გამოვლინდა, თუ რა დიდი შრომა გაუწევია მარელისის საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგ, მაია ვეფხვაძეს, რომლის მოსწავლეებსაც სრულყოფილად ჰქონდათ გაცნობიერებული დავით აღმაშენებლის ღვაწლი, იმ საშინაო და საგარეო რეფორმების ძალა, რომლითაც საქართველოს ტერიტორია გადაიჭიმა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და „ძლევაი საკვირველმა“ დაუსვა წერტილი თურქ-სელჩუკთა ბატონობას ქართულ მიწაზე.

ღონისძიება კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახადა დაბის სკოლებისა და გიმნაზიის მოსწავლეებმა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებულმა მგალობელთა გუნდმა „ნუნისმა“ (ხელმძღვანელი თორნიკე ბაკურაძე).

მესამე საჯარო სკოლის პედაგოგმა მერი გიორგიძემ, ხაზი გასუვა პროექტ „წარსულის ქრონიკების“ დიდ მნიშვნელობას, რომ წინაპართა ღვაწლის წარმოჩენა ჩვენი ახალგაზრდობის სამომავლო ხედვას აძლიერებს. საამაყოა, რომ ქართველებს გვყავდა მეფე დავით აღმაშენებელი, რომელიც იყო არა მარტო სამხედრო სტრატეგი, არამედ უგანათლებულესი, წიგნიერი პიროვნება.

საკმარისია, მეოცე საუკუნის დიდი რომანისტის, კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები მოვიგონოთ: დავით აღმაშენებელი თავისი ეპოქის უმამაცესი და უგანათლებულესი სუვენირი იყო იმ ბნელ საუკუნეებში, როცა გერმანიის იმპერატორები ძლივს ითვისებდნენ წერა-კითხვას.

ცნობილია, კარლოს დიდმა მიხრწნილობისას ძლივს ისწავლა თურმე ხელის მოწერა, ხოლო სელჩუკიანთა დიდი სულთნები: თორღულ-ბეგი, ალფ-არსლანი და მალიქ-შა სავსებით უწიგნურნი იყვნენ“.

დაბა ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, დავით კიკნაძემ, სათანადოდ შეაფასა აღნიშნული ღონისძიება. მადლობა გადაუხადა მარელისის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელს, მოსწავლეებს, საბავშვო ბიბლიოთეკას, მგალობელთა გუნდის თოთოეულ წევრს, რომელთა ძალებითაც ასეთი საინტერესო ღონისძიება მოეწყო და ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი იმ დიდ საქმეს, რომლებიც დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირდება.

თამარ მაღრაძე

ინგლისურის სასწავლო ცენტრი ხარაგაულში

15 თებერვალს დაბა ხარაგაულში, ბრიტანული საბჭოს ბაზაზე, ინგლისურის სასწავლო ცენტრი გაიხსნა. ცენტრში სწავლების უფლება აქვს ყველას ასაკის მიუხედავად. მსურველებს ჩაუტარდებათ ტესტირება, შემოწმდება მათი ცოდნის დონე და ამის მიხედვით დაკომპლექტდება ჯგუფები. გაკვეთილები კვირაში 3 დღე ჩატარდება და სწავლის ღირებულება თვეში - 50 ლარი იქნება.

ცენტრში არის სასიამოვნო საჩუქარი - მოსწავლეებს ინგლისურ ენასთან ერთად საშუალება ექნებათ შეისწავლონ ფრანგული ენაც (კვირაში ერთი მეცადინეობა).

სრული კურსის დასრულების შემდგომ გაიცემა სერტიფიკატი, ცენტრი დაკომპლექტებულია კვალიფიციური და სერტიფიცირებული პედაგოგებით და ის უკვე ელოდება მსურველებს.

მისამართი: დაბა ხარაგაული, სოლომონ მეფის ქ. N17.

„ჯანსაღი ცხოვრება ჯანმრთელობის საწინდარია„

„ჯანსაღი ცხოვრება ჯანმრთელობის საწინდარია“ – ასე ერქვა პროექტს, რომლის ფარგლებშიც ბორის სკოლა პანსიონის მოსწავლეებმა, ბორიდან დაბა ხარაგაულის ცენტრამდე 12 კილომენტრიანი მონაკვეთი ველოსიპედებით გაიარეს. უსაფრთხოების დაცვის მიზნით მათ მეთვალყურეობას, ხარაგაულის რაიონული სამმართველოს პოლიციის თანამშრომლები უწევდნენ. პროექტის ორგანიზატორები იყვნენ, ამავე სკოლაში არსებული სმარტ-კლუბი და სამოქალაქო აღზრდის პედაგოგი მაია ბარბაქაძე. რბოლის დასრულების შემდეგ, ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში, პროექტის მონაწილეებთან და პედაგოგებთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას ხარაგაულის საგანმანათებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი დავით კიკნაძე, საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი, გამგებლის მრჩეველი გენდერულ საკითხებში ინგა ბერაძე და საგანმანათლებლო რესურცენტრის თანამშრომლები: თინათინ ბოჭორიშვილი და აკაკი ლურსმანაშვილი ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე პროექტის მონაწილეებმა ჯანსაღი ცხოვრების წესსზე ისაუბრეს. გამგებლის მრჩევლმა გენდერული თანასწორობის საკითხებში, ინგა ბერაძემ, ყურადღება გაამახვილა სპორტის ამ სახეობაში გოგონების ჩართულობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ გოგონებს და ბიჭებს თანაბარი შესაძლებლობები უნდა მიეცეთ, რათა მათთვის სასურველი სპორტით დაკავდნენ.

პროექტის ავტორმა, მაია ბარბაქაძემ განმარტა, რომ „სამოქალაქო აღზრდის მეათე კლასის სასკოლო სახელმძღვანელოში იყო პროექტი – „ჯანსაღი ცხოვრება ჯანმრთელობის საწინდარია,“ რომელმაც ბავშვების მოწონება დაიმსახურა. მათ მთხოვეს ამ პროექტის განხორციელებაში დახმარება. რა თქმა უნდა, ბავშვების იდეას გამოვეხმაურე და მოვახდინე სკოლის დირექტორის, ბატონი ჰამლეტ ბერაძის ინფორმირება. ბატონმა ჰამლეტმა და ჩვენს სკოლაში არსებულმა სმარტ – კლუბმა, პროექტის განხორციელებაში მხარი დაგვიჭირეს.“

საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა, დავით კიკნაძემ ახალბედა ველომრბოლერებს წარმატებები უსურვა და აღნიშნა: „მოხარული ვარ, რომ მომავალი თაობა დაკავებულია სპორტით. კარგი იქნება, თუ თქვენი თანატოლები მონაწილეობას მიიღებენ მსგავს ღონისძიებებში და უფროსი თაობაც გამოიჩენს ინტერესს ველორბოლის მიმართ. აღსანიშნავია, ველოსიპედი, ყველაზე ეკოლოგიური და უსაფრთხო ტრანსპორტია.“

თამარ მაღრაძე

სკოლამდელ გაერთიანებათა დაწესებულების თანამშრომლებს ტრენინგები ჩაუტარდათ

9 თებერვალს ხარაგაულის ეთერ კიკნაძის სახელობის N1 სკოლამდელ გაერთიანებათა დაწესებულების თანამშრომლებს, ოთხ დღიანი ტრენინგი ჩაუტარდათ - სახელწოდებით "საბავშო ბაღის სტრატეგიები და პროგრამა". თემა შეეხებოდა მეთოდოლოგიის, ფსიქოლოგიურ და ინკლუზიური სწავლების კურსს. ტრენინგი ხარაგაულის სკოლამდელ გაერთიანებათა დაწესებულების ადმინისტრაციის ინიციატივით, თბილისის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მუშაკთა გადამზადების, სემინარისა და ტრენინგის ცენტრმა ჩაატარა.

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის, ირმა სებისკვერაძის განცხადებით - „ტრენინგს ხელმძღვანელობდა თბილისის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მუშაკთა გადამზადების, სემინარისა და ტრენინგის ცენტრის დირექტორი თეონა ქემაშვილი. ტრენინგი ძირითადად გათვალისწინებულია ახლადგახსნილი სკოლამდელი დაწესებულების თანამშრომლებისთვის. მსგავსი ტიპის აქტივობები ხელს შეუწყობს საბავშვო ბაღის აღმზრდელთა პროფესულ ზრდას, მათ მეთოდიკას და აღსაზრდელებთან ურთიერთობის კულტურას. საბავშვო ბაღის დანიშნულება აღსაზრდელების სკოლისთვის სრულყოფილად მომზადებაა. მსმენელთა რაოდენობა 65- პიროვნებისგან შედგებოდა. მათგან 16-მა გაიარა კვების პროგრამა, დანარჩენებმა სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა. ბაღების გამგეებმა დამატებით გაიარეს მართვის კურსი.“

„მსმენელთა კონტიგენტი გამორჩეულია კრეატიულობითა და მონდომებით - ამბობს ტრენინგის ცენტრის დირექტორი თეონა ქემაშვილი. დარწმუნებული ვარ, ტრენინგებიდან მიღებულ გამოცდილებას პედაგოგები პრაქტიკაში წარმატებით განახორციელებენ.“

ტრენინგის დასრულების შემდეგ, მსმენელებს ჩაუტარდებათ ტესტირება და გადაეცემათ სერტიფიკატები.

თამარ მაღრაძე

გამომცემელი
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
გაზეთი ა(ა)იპ „ახალი ხარაგაული“.
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25;

რედაქტორი: ეკა შავიძე
ტელ.: 598 90 00 81
სარედაქციო კოლეგია:
თეა ბერიძე
თამარ მაღრაძე

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს უკან არ უბრუნდებათ. გაზეთში დაბეჭდილი მასალებისა და სურათების მთლიანი ან ნაწილობრივი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ რედაქციის თანხმობით. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.